ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სასწავლო პროცესის ორგანიზების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სასწავლო პროცესის ორგანიზების პირობებს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ და ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა მოქმედი რეგულაციების საფუძველზე.

მუხლი 2. წესის მიზანი
ამ წესის მიზანია:
ა) უნივერსიტეტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების პროცესი დაგეგმოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათთვის სრულფასოვან განათლებაზე ხელმისაწვდომობა და თანაბარუფლებიანი სასწავლო გარემოს შექმნა.
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვის მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უზურუნველყოფილ იქნას ეფექტური ინდივიდუალური, დამხმარე ზომების გატარება.

მუხლი 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლის პროცესის ორგანიზება
1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კანონმდებლობითა და/ან რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში და პირობებით, პირის ჩარიცხვისთვის გათვალიწინებული რეგისტრაციის გავლისას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი უნივერსიტეტს წარუდგენს ინფორმაციას (ავსებს ფორმას დანართი 1-ის მიხედვით) და შესაბამის დამადასტურებელ ცნობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტატუსის შესახებ და განსაზღვრავს იმ სპეციალურ საჭიროებებს, რაც მას უწყვეტი და შეუფერხებელი სწავლის პირობებისთვის სჭირდება.
2. შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია შეისწავლის სტუდენტის საჭიროებებს და განსაზღვრავს უნივერსიტეტის მხრიდან განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმას:
ა) გამოყოფს კოორდინატორს, რომელიც გაუწევს მეთვალყურეობას ამ სტუდენტის სწავლის პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებს და იზრუნებს მის გადაჭრაზე, საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტის სხვა სამსახურების ჩართულობით.
ბ) საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის სწავლის შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების იმგვარად ადაპტაციას, რომ სტუდენტი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.
გ) ახდენს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირებას სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ სტუდენტის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე და კონფიდენციალობის საკითხების გათვალისწინებით;
დ) სასწავლო ცხრილის შედგენის დროს ფაკულტეტი/სკოლა ითვალისწინებს სტუდენტის მდგომარეობას და სასწავლო გრაფიკს ადგენს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს სტუდენტის (მისი მეურვის) მოსახერხებელი პარკინგი, კომფორტული გადაადგილება უნივერსიტეტის შიგნით, ასევე, თავიდან იქნას აცილებული სხვა, სწავლების პროცესში გამოვლენილი, სტუდენტის სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე სირთულეები.

ე) უზრუნველყოფს სტუდენტის დროულ დაკავშირებას საჭირო შიდა თუ გარე სერვისთან, შესაბამისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსის მობილიზებას სხვადასხვა ეტაპზე. ფინანსური, მატერიალური ან სხვა პრობლემის არსებობის შემთხვევაში, თუკი ის ცდება ფაკულტეტის/სკოლის კომპეტენციას, მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით.

3. უნივერსიტეტი:

ა) უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განათლების მიღების პროცესზე თანაბარ ხელმისაწვდომობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, სასწავლო რესურსებით, მათ შორის პანდუსებით, ლიფტით, შესაბამისად მოწყობილი სანიტარიული კვანძით აღჭურვილი სასწავლო გარემოს შეთავაზებას და სხვა ამგვარ ძალისხმევას.

ბ) უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სპეციალისტის მოწვევას და/ან რეკომენდაციის მიღების მიზნით იმ ორგანიზაციებისთვის მიმართვას, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება. ზრუნავს სასწავლო მასალების მისაწვდომი ფორმატით (საკითხავი მასალები აუდიო/ელექტრონული/ბრაილის შრიფტით/გადიდებული შრიფტით; სასწავლო ვიდეოები სურდო თარგმანით/აუდიოაღწერით და სხვა) არსებობის უზრუნველყოფაზე ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით;

გ) საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს უნივერსიტეტში მოქმედ ცენტრებში (ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი და სხვა) სპეციალური მომსახურების გაწევას.

დ) სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი საჭიროებისა და უნივერსიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტს პერსონალური ასისტენტის მომსახურებისთვის საჭირო ფინანსური და/ან ადამიანური რესურსით მხარდაჭერის კუთხით (თუ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ასეთი მომსახურების გაწევა შეუძლებელია).

ე) შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებთან, სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციითა და თანამშრომლობით სისტემატურად მოახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების საჭიროებების შესწავლას, ანალიზს და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

საინფორმაციო ფორმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ

გაფრთხილება: იმ შემთხვევაში, თუ თქვენ საჭიროებთ სპეციალურ საგანმანათლებლო გარემოს ან გაქვთ შეზღუდული შესაძლებლობა და ამის თაობაზე არ გსურთ უნივერსიტეტის ინფორმირება, შესაძლოა ამის გამო დაგვიანდეს ან ვერ მოხერხდეს თქვენთვის საჭირო მომსახურების გაწევა.

1. გაქვთ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან შეზღუდული შესაძლებლობა? (მობილობის შეზღუდვა, სმენის/მხედველობის შეზღუდვა, აუტიზმის სპექტრი, დასწავლის უნარის დარღვევა, ფსიქოსოციალური საჭიროება და სხვა).

   ა) დიახ.

   ბ) არა.

2. გთხოვთ დააკონკრეტოთ, რა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გაქვთ/რა ნიშნით ფლობთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს.